მოსკოვის “დინამო” - ჩემპიონობის ღირსეული კანდიდატი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 29 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 1:3 (1:2).

მოსკოვი: იაშინი, კესარევი, ცარიოვი, ბ. კუზნეცოვი, სოკოლოვი, კოროლენკოვი, ურინი, ფედოსოვი, ი. კუზნეცოვი, ჩისლენკო, შაპოვალოვი.

თბილისი: კვაჭაძე, სოტკილავა, ჩოხელი, უსტაბაშიდი, კოტრიკაძე, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

სტატისტიკას ფეხბურთში გარკვეული მნიშვნელობა აქვს და თუ გადახედავთ მოსკოვისა და თბილისის დინამოელების შეხვედრათა ისტორიას, მოსკოველებს აბსოლუტური უპირატესობა აქვთ ჩვენს გუნდთან: 25 მოგება, 6 ფრე და მხოლოდ 4 დამარცხება. შედარებით უკეთესი შეფარდება გვაქვს თასის გათამაშებაში - 2:3.

წელს მოსკოვის დინამოელები საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან და რეალური პრეტენზიები აქვთ ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის. განვლილმა მატჩმა ცხადად ნათელჰყო, რომ ეს პრეტენზიები სავსებით სამართლიანი და კანონიერია - მოსკოვის “დინამო” ამჟამად საუკეთესო გუნდია “ა” კლასში.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა პირველი ბურთი მიიღეს თავიანთ კარში მატჩის დასაწყისშივე კალოევის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ, მათი საბრძოლო მექანიზმი მუშაობდა ყოველგვარი შეფერხებისა და შეცდომის გარეშე.

მოსკოველთა გეგმა ნათელი იყო და მოსალოდნელიც. ორი ახალი მოთამაშე მოწინააღმდეგის დაცვაში მათთვის შეტევის მთავარ პუნქტებს წარმოადგენდა და გამარჯვების გასაღებიც სწორედ გარემარბებს ებარათ - ურინსა და შაპოვალოვს. პირველ ხანებში მასპინძელთა დაცვაში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე-13 წუთზე ურინი უდიდესი სისწრაფით გაიჭრა კარისკენ, ზედიზედ ჩამოიტოვა უკან უსტაბაშიდი, ჩოხელი და ძლიერი დაბალი დარტყმით გაქვითა გოლი - 1:1.

მოსკოველთა შტურმი ხანმოკლე, მაგრამ მეტად მძაფრი და ეფექტური იყო. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ურინმა კვლავ მოიგო “სპრინტი” თავის ფრთაზე და დაუყოვნებლივ გადასცა ბურთი ცენტრში. კვაჭაძე გაუანგარიშებლად გამოვიდა კარიდან და ფედოსოვმა თავით ზუსტად გადაუგდო მას ზევიდან ბურთი - 2:1.

თბილისელებმა ადგილები შეუცვალეს განაპირა მცველებს და თამაში კვლავ გადაიტანეს მოპირდაპირე ნახევარზე. იამანიძე, ბარქაია, და მესხი ხშირად უტევდნენ იაშინის კარს, კალოევი სისტემატურად უგებდა ბრძოლას ცარიოვს, თავდასხმას აქტიურად ეხმარებოდა. ზეინკლიშვილი და ლიდერის მთელი დაცვა სრული დატვირთვით მუშაობდა ამ განუწყვეტელი იერიშების უვნებელყოფისათვის. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო იაშინმა. ზედიზედ იქნა მოწოდებული კუთხური საჯარიმოები, მაგრამ მოსკოვის “დინამოს” დაცვამ გაუძლო ამ დაწოლას და შეინარჩუნა ანგარიში.

მეორე ტაიმის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს - იგი მთლიანად მოსკოველებისა იყო. მათს უპირატესობას ფლანგებზე დაემატა ისიც, რომ ი.

კუზნეცოვი ხშირად გადიოდა თავისი ზონიდან და კომბინაციურ თამაშს ქმნიდა დანარჩენ ფორვარდებთან ერთად. რაც შეეხება დაცვას, აქ მოსკოველებმა მოაწესრიგეს პირველი ტაიმის "გაუგებრობანი": კესარევმა ზუსტად ამოიცნო მესხის ფინტები და მშვიდად იგერიებდა მათ, უკეთესად ითამაშა ცარიოვმა, მეტი სითავისუფლე მიეცა ნახევარდაცვას. ყველაფერი ამის შედეგად მოედანს მთლიანად დაეპატრონნენ მოსკოველები და მათ მიერ გატანილი მესამე გოლი (შაპოვალოვი) ამ უპირატესობის ლოგიკური დასასრული იყო.

ჩემპიონობის მთავარმა კანდიდატმა დამსახურებულად მოიგო მატჩი - 3:1.

საუკეთესოდ ჩაატარეს თბილისის "დინამოს" დუბლიორებმა მატჩი მოსკოველთა წინააღმდეგ და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:1.

ბ. ქორქია.

"ლელო", 31 მაისი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"